

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო

1. კანონის მიზანია უზრუნველყოს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენების და ადამიანისა და გარემოსათვის უსაფრთხო მოხმარების სამართლებრივი საფუძვლები.

2. კანონი აწესრიგებს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიკატების, ბიოლოგიური საშუალებების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სფეროში სახელმწიფოებრივი მართვის, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემუშავების, რეგისტრაციის, წარმოების, მარკირების, შეფუთვის, რეალიზაციის, შენახვის, ტრანსპორტირების, გამოყენების, გაუვნებელი ფისის, განთავსების, ინფორმაციის გაცვლის, რეკლამისა და ექსპორტ-იმპორტის დროს.

მუხლი 2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენების და უსაფრთხო მოხმარების სამართლებრივი საფუძვლები

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენების და უსაფრთხო მოხმარების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, "მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ", "ნიადაგის დაცვის შესახებ", "ვეტერინარების შესახებ", "სასოფლო-სამეურნეო კანონის შესახებ" საქართველოს კანონები, "FAO"-ს "პესტიციდების გავრცელებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსი", საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. კანონში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

კანონში გამოყენებული ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიკატები – ქიმიური ნივთიერებების კატეგორია, რომელიც მოიცავს პესტიციდებსა და აგროქიმიკატებს და გამოყენება სასოფლის მეურნეობაში, აგრეთვე სატყეო, კომუნალურ მეურნეობაში და სხვ.;

ბ) პესტიციდები – ქიმიური ან ბიოლოგიური პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა და ვადებებისა და მავნებლების, სარველა მცენარეების, შენახული სოფლის მეურნეობის პროდუქციის და საყოფაცხოვრებო მავნებლების, ცხოველთა პარაზიტების წინააღმდეგ, მცენარეთა ზრდის რეგულირებისათვის, აგრეთვე მცენარეთა ფოთლების მოსაცილებლად (დეფოლიანტები) და მცენარეების შესახმობად (დესიკანტები) მოსავლის აღების წინ;

გ) აგროქიმიკატები – სასუქები, ქიმიური მელიორანტები, აგრომა დეჟულები, საკვები დანამატები, რომლებიც გათვალისწინებულია მცენარეთა კვებისათვის, ნიადაგის ნაყოფიერების რეგულირებისა და ცხოველთა დამატებითი კვებისათვის;

დ) პესტიციდის მოქმედი ნივთიერება – პესტიციდის ბიოლოგიურა დაქტიური ნაწილი, რომლის სხვა და სხვა პრეპარატული ფორმით გამოყენება ზემოქმედებას ახდენს მავნე ორგანიზმზე ან მცენარის ზრდა-განვითარებაზე;

ე) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაცია – პროცესი, რომლის საფუძველზე აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო სარეგისტრაციო გამოცდების ორგანიზაციისა და რეგისტრაციის სფეროში სამეცნიერო მონაცემების კომპლექსური შეფასების შემდეგ იძლევა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების საქართველოში წარმოების, შემოტანის, შენახვის, რეალიზაციის, გამოყენებისა და რეკლამის უფლებას;

ვ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხელახალი რეგისტრაცია – სარეგისტრაციო მოწმობის მოქმედების ვადის გასვლისას პესტიციდებისა და აგროქიმიკატების განმეორებითი რეგისტრაცია;

ზ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდები – პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ბიოლოგიური და ეკონომიკური ეფექტურობის, ადამიანისა და გარემოსათვის უსაფრთხოების შესწავლის რეგლამენტირებული სისტემა;

თ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების რეგლამენტი – აუცილებელი მოთხოვნა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების წესისა და პირობების შესახებ;

ი) შემუშავებული – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ქმნის პესტიციდს ან აგროქიმიკატს, შეისწავლის მათაქტივობას, ტოქსიკოლოგიურ თვისებებს და გარემოზე ზემოქმედებას;

კ) დამამზადებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს პესტიციდს ან აგროქიმიკატს;

ლ) აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოები – საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო;

მ) შესაბამისი სამსახურები – საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური, აგროქიმიისა და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური, ვეტერინარიის დეპარტამენტი;

ნ) ფიტოსანიტარიული მდგომარეობა – სავარგულების, ტყეებისა და მცენარეული საფარის მდგომარეობა, რომელიც განპირობებულია მცენარეთა მავნებლების რიცხოვნობით, მცენარეთა დაავადებების გავრცელებითა და სარეველ მცენარეების არსებობით;

ო) ფიტოსანიტარიული მონიტორინგი – ორგანიზმთა გავრცელების, რიცხოვნობის, განვითარების ინტენსივობისა და მავნეობის მოსალოდნელი დონის დადგენა და პროგნოზი;

პ) კომპლექსური დაცვითი ღონისძიებები – მავნე ორგანიზმებისა და დაცვითი ღონისძიებების სისტემა, რომლის შესაბამისა და გამოყენება არსებული ურთიერთშემავსებელი ეფექტური ხერხები და მეთოდები მავნე ორგანიზმების რიცხოვნობის ისეთი დონის დასადგენად, როცა გამორიცხულია ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ზარალის მიყენება;

ჟ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების უსაფრთხო მოხმარება – მოქმედების ნორმები და სტანდარტები, რომლებიც გამორიცხავენ ადამიანის, დასაცავი მცენარეებისა და ცხოველების ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას მათი კონკრეტული სახით გამოყენების, შემუშავების, გამოცდის, ექსპერტიზის, რეგისტრაციის, წარმოების, მარკირების, შეფუთვის, რეალიზაციის, შენახვის, ტრანსპორტირების, გაუვნებელყოფის, განთავსების, რეკლამისა და ექსპორტ-იმპორტის დროს;

რ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენება – მათი რეგლამენტირებული, მცენიერულად დასაბუთებული, მიზანდასახული მოხმარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდის, ადამიანის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის, მცენარეებისა და ცხოველების ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის;

ს) შეფუთვა – ჭურჭელი (ტარა) დამცავი შეხვევით, რომელსაც იყენებენ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ტრანსპორტირებისას;

ტ) საშიშროება – ადამიანსა და გარემოზე უარყოფითი გავლენის ალბათობა;

უ) რისკი – პესტიციდის ან აგროქიმიკატის საშიშროების განხორციელების ალბათობის ხარისხი მისი კონკრეტული პირობებში გამოყენებისას;

ფ) ნარჩენი რაოდენობა – პესტიციდების მოქმედი ნივთიერება ან წარმოებული (გარდაქმნის პროდუქტები, მეტაბოლიტები), მინარევები, ნიტრატები და ა.შ. კვების პროდუქტებში, სოფლის მეურნეობის პროდუქციაში ან ცხოველების საკვებში, რომელთა არსებობა გამოწვეულია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენებით;

ქ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ზღვრულად დასაშვები ნარჩენი რაოდენობა (ზღვრ) – ნარჩენი რაოდენობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, რომელიც გათვალისწინებულია ნორმატიული აქტებითან საყოველთაოდ მიღებული კვების პროდუქტებში, სოფლის მეურნეობის პროდუქციაში ან ცხოველების საკვებში;

ღ) აკრძალული პესტიციდი – პესტიციდი, რომლის გამოყენებაც ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით ებრძვის მიერ სფეროში აკრძალული სარეგისტრაციო ორგანოს გადაწყვეტილებით;

ყ) მკაცრად შეზღუდული პესტიციდი – პესტიციდი, რომლის გამოყენებაც ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით პრაქტიკულად აკრძალულია სარეგისტრაციო ორგანოს გადაწყვეტილებით, თუმცა დასაშვებია მისი ზოგიერთი სახით გამოყენება;

შ) წინასწარ დასაბუთებული თანხმობა – პრინციპი, რომლის თანახმად საერთაშორისო ვაჭრობისას არ შეიძლება აკრძალული ან მკაცრად შეზღუდული პესტიციდის შემოტანა სათანადო შეთანხმებების გარეშე ან სარეგისტრაციო ორგანოს გადაწყვეტილების გვერდის ავლით, წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის დარღვევით;

ჩ) საკონტროლო ღონისძიება – პესტიციდების გამოყენების აკრძალვის ან მკაცრი შეზღუდვის ღონისძიება;

ც) ანტიდოტები – პესტიციდებისა და აგროქიმიკატების არასწორი ხმარებით გამოწვეული მოწამვლის საწინააღმდეგოს საშუალებებია;

ძ) სახელმწიფო კატალოგი – საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ჩამონათვალი;

წ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრი – ახალი ან გამოყენებაში არსებული ქიმიური და მიკროორგანიზმების მიერ წარმოქმნილი ბიოლოგიურა დაქტიური ნივთიერებების, მათი პროდუქტების საინფორმაციო მონაცემთა სტანდარტიზებული სისტემა;

ჭ) რეგისტრანტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეაქვს განაცხადი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაციისათვის;

ხ) "FAO" – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია;

ჯ) სარეგისტრაციო ორგანოები – მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და ზრდის რეგულატორების, აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საკვები დანამატებისა და პარაზიტების საწინააღმდეგო საშუალებებთან სახელმწიფო რეგისტრაციის ორგანოები (საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური, აგროქიმიისა და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური, ვეტერინარიის დეპარტამენტი).

მუხლი 4. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გავრცელება

1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზარზე სავაჭრო არხებით მიწოდების პროცესი და ქვეყნის შიგნით მათი მიმოქცევა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) პესტიციდები და აგროქიმიკატები შეიძლება გასხვისებულიან მიმოქცეულიქნეს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებით, თუ ისინი არ არის ამოღებული ხმარებიდან ან მათი მიმოქცევა შეუზღუდავია;

ბ) აკრძალულია იმ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემოტანა, მიმოქცევა, რომლებიც არ არის შეტანილი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგში;

გ) აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდების მიმოქცევა, რომელთაც სარეგისტრაციო გამოცდების შედეგად დადამიანთა ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მაღალი შესაძლებლობა და უდგინდათ, ხორციელდება სპეციალური ნებაართვით, ინფორმაციის გავრცელების საერთაშორისო მოთხოვნათა დაცვით, რაზედაც პასუხისმგებელი არიან საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები.

2. სოფლის მეურნეობაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის ლიკვიდაციის მიზნით, ალტერნატიული საშუალებებისა და მეთოდების უქონლობისა და აუცილებელი ღონისძიებების ჩატარების დაყოვნების საშიშროებისას, აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემოტანაზე, მიმოქცევაზე და გამოყენებაზე ნებაართვას გასცემს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებთან შეთანხმებით.

3. ნებაართვაში მითითებული უნდა იყოს ხერხი, მიზანი, გამოყენების სახე, დრო, ადგილი, რაოდენობა, მოსავლის აღება მდელოდინის პერიოდი.

4. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოებას, შემოტანას, ტრანსპორტირებას, შენახვას, რეალიზაციასა და გამოყენებას, ვალდებული არიან საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს წარუდგინონ ობიექტური ინფორმაცია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მიწოდების, მიმოქცევისა და მათზე განაცხადების შესახებ.

თავი II

საქართველოს სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სფეროში

მუხლი 5. საქართველოს სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სფეროში

საქართველოს სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებას პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სფეროში განეკუთვნება:

ა) ნორმატიული აქტების გამოცემა;

ბ) ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;

გ) სახელმწიფო კონტროლი საქართველოს კანონების შესრულებაზე;

დ) ლიცენზირების წესის დადგენა;

ე) სარეგისტრაციო გამოცდებისა და შედეგების ექსპერტიზის ორგანიზება, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაცია;

ვ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სამუშაოების ორგანიზება;

ზ) არსებული სტანდარტების მიხედვით სამეცნიერო-კვლევით და სხვა სამუშაოთა ორგანიზებისა და დაფინანსებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

თ) საერთაშორისო ურთიერთობების განხორციელება;

ი)საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლა და ქვეყნის შიგნით ინფორმაციის გავრცელება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ;

კ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობის განხორციელება.

თავი III

სახელმწიფო მმართველობა, ზედამხედველობა და კონტროლი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტურ გამოყენებასა და უსაფრთხო მოხმარებაზე

მუხლი 6. სახელმწიფო მმართველობა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სფეროში

1. სახელმწიფო მმართველობას პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სფეროში ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო შესაბამისი სამსახურების მეშვეობით.

2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების უსაფრთხო მოხმარების პროცესებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აწესრიგებენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები.

მუხლი 7. სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტურ გამოყენებასა და უსაფრთხო მოხმარებაზე

1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტურ გამოყენებასა და უსაფრთხო მოხმარებაზე სახელმწიფო კონტროლს და ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

2. სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, "FAO"-ს საერთაშორისო მოთხოვნათა დაცვით.

3. მაკონტროლებელ ორგანოებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების მიზნით უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეამოწმონ, მიუხედავად საკუთრების ფორმისა, მიწის ნაკვეთები, სასაწყობო, სარეალიზაციო, აგრეთვე სამრეწველო შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებანი.

4. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან დაცვან საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სფეროში, მოთხოვნის თანავე წარუდგინონ მაკონტროლებელ ორგანოებს საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

5. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ვალდებული არიან უზრუნველყონ შემოტანილი, გამოყენებული და ნათად და რჩენილი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების და დგენილი წესით აღრიცხვა და მონაცემები წარუდგინონ სტატისტიკის ორგანოებს.

6. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ვალდებულია კონტროლი გაუწიოს "პესტიციდების გავრცელებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსის" მოთხოვნების შესრულების და დაცვას და ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს "FAO"-ს.

მუხლი 8. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სფეროში გამოცდის, ექსპერტიზის ორგანიზება, სახელმწიფო რეგისტრაციის და კოორდინირების განხორციელება

1. ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სფეროში, სარეგისტრაციო გამოცდისა და ექსპერტიზის ორგანიზებას, სახელმწიფო რეგისტრაციას და კოორდინირებას

ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო შესაბამისი სამსახურების მეშვეობით.

2. სარეგისტრაციო ორგანოები:

ა) თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ "FAO"-ს საერთაშორისო კოდექსით, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით;

ბ) ახორციელებენ პესტიციდებსა და აგროქიმიკატებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინირებას;

გ) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავენ სპეციალურ დებულებებსა და წესებს საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდებისა და რეგისტრაციის შესახებ, რომელთაც ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებთან შეთანხმებით.

მუხლი 9. სარეგისტრაციო ორგანოების ამოცანები და უფლებამოსილება

1. სარეგისტრაციო ორგანოები განსაზღვრავენ საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სიას და მათი გამოყენების რეგლამენტებს, კონტროლის მეთოდებს, ორგანიზებას და კოორდინირებას უწევენ სარეგისტრაციო გამოცდებს, ექსპერტიზას, ატარებენ სახელმწიფო რეგისტრაციას და გასცემენ სარეგისტრაციო მოწმობებს, ადგენენ ამკრძალავ სიებს და აწარმოებენ სახელმწიფო კატალოგს, ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სარეგისტრაციო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) განიხილვენ ფიზიკური და იურიდიული პირების წინადადებას პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაციის შესახებ, ახორციელებენ რეგისტრაციაზე განაცხადის პირველად ექსპერტიზას და საგამოცდო მასალების ექსპერტიზას;

ბ) ახორციელებენ სარეგისტრაციო გამოცდების ორგანიზებას საგამოცდო ქსელში, მათ კოორდინაციას და მეთოდურ უზრუნველყოფას, სამეცნიერო და წესებულებების, საბორატორიოების საგამოცდო ქსელში ჩართვას;

გ) კრძალავენ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოსაყენებას მათი ადამიანისა და გარემოსათვის არახელსაყრელი თვისებების (საშიშროების) გამოვლენისას;

დ) ეკონომიკურად ეფექტური და ეკოლოგიურად უსაფრთხოსაშუალებების შეჩვენების მიზნით განიხილვენ ადრე რეგისტრირებულ და პრაქტიკაში აპრობირებულ პესტიციდებსა და აგროქიმიკატებს და მათი გამოსაყენების რეგლამენტებს, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ სადემონსტრაციო გამოცდების ჩატარებას და შეაქვთ სათანადო შესწორებები, ატარებენ პერსპექტიული საშუალებების ხელახალ რეგისტრაციას;

ე) სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და მწარმოებელი ფირმების საქმიანობის შედეგების მიხედვით 5წელიწადში ერთხელ განაახლებენ და აქვეყნებენ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სფეროში გამოსაყენებელი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სიებს მათი გამოსაყენების რეგლამენტებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაში, გარემოს ობიექტებში ჰიგიენური ნორმების ჩვენებით, ხოლო მათი ამკრძალვის შემთხვევაში იღებენ ხმაირებიდან. საჭიროებისას აქვეყნებენ დამატებით სიებს, დროებით ამკრძალვებს ან შეზღუდვებს გამოსაყენების რეგლამენტებთან დაკავშირებით არსებული მონაცემების დაზუსტებამდე;

ვ) განსაზღვრავენ და აქვეყნებენ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემტანი ტექნიკური საშუალებების სიას;

ზ) ამუშავენ და ამტკიცებენ ერთიან მეთოდიკას, უზრუნველყოფენ კვლევებში თანამედროვე ტექნიკისა და სტანდარტიზებული მეთოდების გამოსაყენებას;

თ)საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შემომუშავებენ დებულებებს, ინსტრუქციებს, წესებს, მეთოდურ მითითებებს, სახელმწიფო სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს;

ი)პესტიციდების, აგროქიმიკატების და ტექნიკური საშუალებების მწარმოებელ უცხო ქვეყნების იურიდიული პირებთან ამყარებენ საქმიან კონტაქტებს;

კ)იღებენ დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს საქართველოში ახალი მოქმედი ნივთიერებების ან პრეპარატული ფორმების, აგროქიმიკატების წარმოებაზე ან მათ აკრძალვაზე;

ლ)მონაწილეობენ პესტიციდების, აგროქიმიკატებისა და ტექნიკურ საშუალებათა რეგლამენტების სწორად გამოყენების პროპაგანდის უზრუნველყოფაში.

მუხლი 10. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდები

1.საქართველოს ტერიტორიაზე ახალი პესტიციდი (მოქმედი ნივთიერება) და აგროქიმიკატი, გამოაკლისის გარდა, რომელსაც ადგენენ სარეგისტრაციო ორგანოები, ექვემდებარება სარეგისტრაციო გამოცდებს, რომელთა ორგანიზებას, კოორდინაციას და მეთოდურ უზრუნველყოფას ახორციელებენ სარეგისტრაციო ორგანოები.

2.პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდებს ახორციელებს სარეგისტრაციო ორგანოების მიერ დამტკიცებული სამეცნიერო-კვლევითი და სხვა შესაბამის დაწესებულებათა ლაბორატორიების ქსელი, რომელსაც აქვს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები.

3.სარეგისტრაციო გამოცდები მოიცავს:

ა)პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების ეფექტურობის დადგენასა და მათი გამოყენების რეგლამენტების შემუშავებას;

ბ)დამიანის ჯანმრთელობაზე მათი შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების შეფასებას, ჰიგიენური ნორმატივების, სანიტარიული ნორმებისა და წესების შემუშავებას;

გ)გამოყენების რეგლამენტების ეკოლოგიურ შეფასებას;

დ)სარეგისტრაციო გამოცდების შედეგების ექსპერტიზას.

4.ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომელთაც განაცხადი აქვთ შეტანილი პესტიციდის ან აგროქიმიკატის სახელმწიფო რეგისტრაციაზე, ვალდებული არიან უფასოდ წარადგინონ იმ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნიმუშები, რომლებმაც უნდა გაიაროს სახელმწიფო რეგისტრაცია.

5.სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდები ტარდება სახელმწიფოს ან რეგისტრანტის ხარჯზე ხელშეკრულების შესაბამისად.

6.სარეგისტრაციო გამოცდების დროს მკვლევარები ვალდებული არიან მინიმუმამდე დაიყვანონ ცხოველებზე ექსპერიმენტების რაოდენობა.

მუხლი 11. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების შედეგების ექსპერტიზა

1.პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების შედეგების ექსპერტიზა მოიცავს: პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სამეურნეო-ეკონომიკური ეფექტურობის, გამოყენების რეგლამენტების ექსპერტიზას, ეკოლოგიურ ექსპერტიზას, ჰიგიენურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზას, რომელთაც ახორციელებენ აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოების მიერ შექმნილი ექსპერტთა ჯგუფები.

2. დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩასატარებლად საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სარეგისტრაციო ორგანოები იწვევენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და პროფილის ექსპერტებს.

3. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების შედეგების ექსპერტიზა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ჩატარების აუცილებლობას;

ბ) დასკვნების მეცნიერულ დასაბუთებას;

გ) ექსპერტთა დამოუკიდებლობას უფლებამოსილების განხორციელებისას.

4. სარეგისტრაციო გამოცდების შედეგების ექსპერტიზის წესს განსაზღვრავენ და ჩატარების ორგანიზებას ახორციელებენ სარეგისტრაციო ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ექსპერტიზის ვადები არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

6. ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთაც შეტანილი აქვთ განაცხადი პესტიციდების ან აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაციაზე, აგრეთვე მათ შემმუშავებლებს, უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების შედეგების ექსპერტიზაში.

7. საექსპერტო დასკვნა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

8. თუ სარეგისტრაციო გამოცდების მონაცემები ადასტურებენ პესტიციდის ან აგროქიმიკატის ადამიანისათვის ან გარემოსათვის არახელსაყრელი თვისებების გამოვლენას, სარეგისტრაციო ორგანოები უფლებამოსილნი არიან აკრძალონ ისინი.

9. მოპოვებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს დაცვის თვალსაზრისით პესტიციდებისა და აგროქიმიკატების აკრძალვის ან მკაცრი შეზღუდვის და საკონტროლო ღონისძიებების შესახებ სავალდებულოა გაეგზავნოს "FAO"-ს, რაზედაც პასუხისმგებელია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

მუხლი 12. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაცია

1. სახელმწიფო რეგისტრაციას ექვემდებარება მხოლოდ ის პესტიციდები და აგროქიმიკატები, რომლებიც სარეგისტრაციო გამოცდის პროცესში დადებითად შეფასდა. "FAO"-ს საერთაშორისო ჰარმონიზაციის პრინციპების შესაბამისად დგინდება საერთო სტანდარტი "რისკი/სარგებელი", რომლის თანახმად პესტიციდის ან აგროქიმიკატის რეგისტრაციისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სარგებელი და მისი გამოყენებით გამოწვეული ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური შედეგები.

2. სახელმწიფო რეგისტრაციის ვადას ადგენენ სარეგისტრაციო ორგანოები. ვადა, როგორც წესი, განისაზღვრება 5 წლით. სარეგისტრაციო მოწმობის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება პესტიციდების ან აგროქიმიკატების განმეორებითი რეგისტრაცია.

3. ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს რეგისტრაციის შემოკლებული ვადა, თუ მოსალოდნელია დამამზადებლის მიერ პესტიციდების ან აგროქიმიკატების მიმოქცევიდან ამოღება, წარმოების შეწყვეტა, გვიანდება განმეორებით რეგისტრაციაზე წარდგენა, წარდგენილია რეგლამენტაციის არასრული მონაცემების პაკეტი, წარმოიშვა დამატებითი გამოკვლევების ჩატარების აუცილებლობა.

4. რეგისტრაცია შეიძლება ვადამდე შეიზღუდოს ან შეწყდეს, თუ მიღებულია ახალი მონაცემები პესტიციდების ან აგროქიმიკატების საშიშროების შესახებ, რომელიც ადრე არ იყო ცნობილი. ცნობებს შეზღუდვაზე სარეგისტრაციო ორგანო მიუთითებს ყოველწლიური სიის დამატებებში. შეტყობინებას მიღებულსაკონტროლო ღონისძიებებზე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო და დგენილი წესით უგზავნის სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებს.

5. განაცხადი რეგისტრაციაზე შეიძლება წარადგინოს :

ა) შემოქმედება ;

ბ) დამამზადებელი ;

გ) ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა , რომელიც ახორციელებს პესტიციდის ან აგროქიმიკატის რეალიზაციას .

6. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრანტები ვალდებული არიან რეგისტრაციისათვის წარადგინონ :

ა) ცნობები განმცხადებლის შესახებ ;

ბ) პესტიციდის ან აგროქიმიკატის დასახელება ;

გ) მონაცემები პესტიციდის ან აგროქიმიკატის შემადგენლობის შესახებ ;

დ) მონაცემები პესტიციდის ან აგროქიმიკატის გამოყენების სფეროსა და მისი ეფექტურობის შესახებ ;

ე) მონაცემები პესტიციდიდან აგროქიმიკატიდან და მიანის ჯანმრთელობის , გარემოსა და ბუნებრივი ბალანსისათვის შესაძლო ზიანის მიყენების შესახებ ;

ვ) მონაცემები პესტიციდის ან აგროქიმიკატის ლიკვიდაციის ან ნეიტრალიზაციის ხერხების შესახებ ;

ზ) პესტიციდის ან აგროქიმიკატის გამოყენების ინსტრუქცია ;

თ) მონაცემები მარკირებისა და შეფუთვის სახის შესახებ ;

ი) მონაცემები ანალიზის იმ მეთოდების შესახებ , რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია საიმედოდ განისაზღვროს პესტიციდის ან აგროქიმიკატის შემადგენლობა და ნარჩენი რაოდენობა .

7. თუ გამოცდა აჩვენებს , რომ პესტიციდი და აგროქიმიკატი შეესაბამება

მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნებს და გამოირჩევა ეფექტურობით , არ ეწინააღმდეგება ადამიანის , მცენარეთა და ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის პრინციპებს , არ ახდენს ბუნების ბალანსზე მავნე ზეგავლენას , რომლის აღმოფხვრა არსებული მეცნიერული დონის გათვალისწინებით შეუძლებელია , ისინი გატარდებიან სახელმწიფო რეგისტრაციაში .

8. სარეგისტრაციო ორგანოები ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე გასცემენ დამტკიცებული ფორმის სარეგისტრაციო მოწმობას რეგისტრირებული პესტიციდის ან აგროქიმიკატის შესახებ .

9. პესტიციდი ან აგროქიმიკატი , რომლის მოხმარებანება და რთულია საქართველოს ტერიტორიაზე (სოფლის , სატყეო და კომუნალურ მეურნეობებში , სამკურნალო მცენარეებზე და ეთერზეთოვან კულტურებზე) , შეაქვთ სახელმწიფო კატალოგში , რომელიც მოიცავს მათი გამოყენების რეგლამენტებს (სასოფლო-სამეურნეო კულტურების , ცხოველების მიხედვით) , პიგიენურ ნორმატივებს და გარემოს დაცვით ნორმებს .

10. სახელმწიფო კატალოგს აწარმოებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო .

11. რეგისტრაციას არ ექვემდებარება : პესტიციდები და აგროქიმიკატები , რომლებიც ექსპორტისათვის არის განკუთვნილი ან საბაჟო ტვირთის სახით საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება , დეკორატიული მცენარეების ასაჭრელი ყვავილებისათვის განკუთვნილი ზრდის რეგულატორები , საშუალებები , რომლებიც გამოიყენება მიკროორგანიზმების საწინააღმდეგო სანიტარიული მიზნებისათვის .

12. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს უფლება აქვთ ნებათვანა დასცენ არარეგისტრირებული პესტიციდების ანაგროქიმიკატების შემოტანაზე, თუ:

ა) ისინი განკუთვნილია სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის;

ბ) შეიქმნება კონკრეტული (განსაკუთრებით საშიში) მავნე ორგანიზმის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების და ყოვნების საშიშროება.

მუხლი 13. პესტიციდებისა და აგროქიმიკატებთან დაკავშირებული საქმიანობის ლიცენზირება

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სფეროში ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა ხორციელდება ლიცენზიის საფუძველზე, რომელსაც გასცემენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო და აღნიშნულ სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 14. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია

1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების დამზადება ხდება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა შესაბამის დაწესებულებებთან შეთანხმებულ სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი.

2. პესტიციდები და აგროქიმიკატები ექვემდებარება სერტიფიკაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მათი ხარისხის, სისუფთავის შემოწმების შესახებ "FAO"-ს საერთაშორისო მოთხოვნების დაცვით.

თავი IV

საერთო მოთხოვნები პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტურ გამოყენებასა და უსაფრთხო მოხმარებაზე

მუხლი 15. ახალი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემუშავება

1. ახალი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემუშავებისას გამოიყენება ისეთი მეთოდები, რომლებიც გამორიცხავენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების საშიშროებას.

2. შემუშავებული ვალდებულება სრულად შეისწავლოს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტურობა, ტოქსიკოლოგიური თვისებები და მათი გავლენა გარემოზე.

მუხლი 16. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოება

1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოებისას დამზადებული ვალდებულება:

ა) უზრუნველყოს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოება საქართველოს კანონმდებლობისა და "FAO"-ს ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) დაიცვას ტექნოლოგიური დისციპლინა და ტექნიკური უსაფრთხოების წესები;

გ) უზრუნველყოს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების საცალო ვაჭრობისათვის და მოხმარებლისათვის მოსახერხებელი დაფასება;

დ) დაიცვას პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შეფუთვის, მარკირებისა და შენახვის საერთაშორისო მოთხოვნები;

ე) სისტემატურად შეამოწმოს სარეალიზაციოდ გამიზნული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სისუფთავე და ხარისხი;

ვ) უზრუნველყოს ანალიტიკური სტანდარტების გამომწვევა სოფლის მეურნეობის პროდუქციაში, კვების პროდუქტებში, სამკურნალო ნედლეულში და გარემოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რაოდენობის კონტროლისათვის;

ზ) შეწყვიტოს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რელიზაცია და საკუთარი სახსრებით მოახდინოს მათი უტილიზაცია, თუ შეუძლებელი ხდება აღნიშნული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების უსაფრთხო გამოყენება, ტრანსპორტირება და შენახვა, მიუხედავად ყველა რეკომენდაციისა და წესის შესრულებისა;

თ) საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილორგანოებს მიაწოდოს ინფორმაცია წარმოებაში არსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რაოდენობის შესახებ;

ი) აწარმოოს პესტიციდები და აგროქიმიკატები რეალური საჭიროების მიხედვით.

2. აკრძალულია იმ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოება, რომელთაც არა აქვთ გავლილი სახელმწიფო რეგისტრაცია.

3. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოებაზე ნებადართვას გასცემენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები.

4. თუ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოებისას დამამზადებელი ვერ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს და უსაფრთხო მოხმარებაზე პასუხისმგებელ აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილორგანოებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება პესტიციდის ან აგროქიმიკატის წარმოების შეზღუდვის, შეჩერების ან აკრძალვის თაობაზე.

მუხლი 17. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრი

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრი უნდა ჩაერთოს საერთაშორისო საინფორმაციო ქსელში.

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის წარმოებას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გაცვლის წინებით, მათ რეგისტრაცია აღწერას შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით, მათ შორის, საერთაშორისო ვაჭრობაში აკრძალული და მკაცრად შეზღუდული ქიმიკატების შესახებ, ახდენს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

3. რეესტრში მოცემული ძირითადი ინფორმაცია მოიცავს ცნობებს ქიმიური ნივთიერებების, მიკროორგანიზმების მიერ წარმოქმნილი ბიოლოგიურა და ქიური ნივთიერებების თვისებების, ეფექტების, ადამიანსა და გარემოზე ზემოქმედების შესახებ, მონაცემებს დამამზადებლის, მიმწოდებლის, მოხმარებლის, გამოყენებული ნივთიერებების კატეგორიების, რაოდენობის, გამოყენების მიზნებისა და სფეროს თაობაზე, უსაფრთხოების წესების, საგანგებო სიტუაციებში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ და სხვა.

4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრში შეიტანება მონაცემები სასიცოცხლო ციკლის შესახებ ნივთიერებების შექმნა – დამამზადებელიდან საბოლოო განთავსებამდე.

5. დამამზადებელი, იმპორტიორები, შემნახველები, რელიზატორები, მოხმარებლები და სხვა პირები ვალდებული არიან სარეგისტრაციო ორგანოში წარადგინონ ინფორმაცია წარმოებული, იმპორტირებული და გამოყენებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ დადგენილი ფორმითა და მოცულობით.

6. მოპოვებული მონაცემები უსაფრთხოების ზომების შესახებ უნდა მიაწოდონ ყველა იმ პირს, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია პესტიციდებთან და აგროქიმიკატებთან.

7. რეესტრში ცალკე აღიწერება მონაცემები აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ.

8. მონაცემების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიური ნივთიერებების, მიკროორგანიზმების მიერ წარმოქმნილი ბიოლოგიურა და ქტიური ნივთიერებებისა და მათი პროდუქტების შესახებ ინახება განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 18. ინფორმაცია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების შესახებ

1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების შესახებ მომხმარებელისათვის სრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით პირები, რომელთაც შეტანილი აქვთ განაცხადი პესტიციდების ან აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაციაზე, ვალდებული არიან უზრუნველყონ სარეგისტრაციო ორგანოებისათვის რეკომენდაციების მიწოდება მათი ტრანსპორტირების, ეფექტური გამოყენების და შენახვის შესახებ, აგრეთვე ცნობები ტარის ეტიკეტისა და მარკირების თაობაზე.

2. რეკომენდაციებისა და ტარის ეტიკეტის ფორმისა და დამტკიცების წესს ადგენენ სარეგისტრაციო ორგანოები.

3. მწარმოებლის, იმპორტიორის (მიმწოდებლის) და რეალიზატორის მიერ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მიმოქცევაში გაშვება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციას მოჰყვება რეკომენდაციები მათი გამოყენების, ტრანსპორტირებისა და შენახვის შესახებ და თუ ტარის ეტიკეტი მარკირებულია და დგენილი საერთაშორისო წესების მიხედვით.

4. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეალიზაციისა და გამოყენების რეკლამა უნდა უკანსუხებდეს "FAO"-ს საერთაშორისო ნორმებს და "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

მუხლი 19. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირება

1. "FAO"-ს საერთაშორისო ინსტრუქციების თანახმად პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მიმოქცევისას ჭურჭელზე (ტარაზე) რამდენიმე საერთაშორისო ენაზე მითითებული უნდა იყოს:

- ა) პესტიციდის ან აგროქიმიკატის დასახელება;
- ბ) დანიშნულება;
- გ) სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი;
- დ) მწარმოებლის სრული სახელწოდება, რეკვიზიტები;
- ე) მოქმედი ნივთიერება და მისი რაოდენობა;
- ვ) გამოშვებული პარტიის ვარგისიანობის ვადა;
- ზ) ინსტრუქცია პესტიციდის ან აგროქიმიკატის გამოყენების წესის შესახებ;
- თ) პესტიციდების უსაფრთხოების კლასი და საშიშროების ნიშანი;
- ი) ანტიდოტები;
- კ) შეზღუდვები.

2. ჭურჭელზე (ტარაზე) გამოყენებული უნდა იქნეს გამაფრთხილებელი სიმბოლო, პიქტოგრამა და წერილობითი გამაფრთხილებელი ინსტრუქცია.

3. პესტიციდებით და აგროქიმიკატებით სავაჭრო ვაჭრობა ხორციელდება სპეციალიზებული ქსელის მეშვეობით, რომელსაც კოორდინაციას უწევს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

4. თუ პესტიციდების ან აგროქიმიკატების რეალიზატორს არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია პესტიციდების ან აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენების და უსაფრთხო მოხმარების შესახებ მოხმარებლისათვის სანადაო ხსენა - განმარტების მისაცემად, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ მას ეკრძალება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეალიზაცია.

5. უხარისხო და ვადაგასული პესტიციდებითა და აგროქიმიკატებით რეალიზაციის აღკვეთის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ინსპექტორები სანადაო დოკუმენტების წარდგენისას უფლებამოსილი არიან აიღონ სინჯები, ჩაატარონ საკონტროლო ანალიზები და უარყოფითი შედეგების მიღებისას შეაჩერონ მათი რეალიზაცია.

6. ნებართვას პესტიციდებისა და აგროქიმიკატების დაფასობასა და გაყიდვაზე გასცემს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

მუხლი 23. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გაუვნებელყოფა და განთავსება

1. უვარგისი და აკრძალული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, მათი ჭურჭლის (ტარის) გაუვნებელყოფა და განთავსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების დამამზადებელი უვარგისი ან აკრძალული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, მათი ტარის განადგურების მეთოდებს და რეკომენდაციებს შეიმუშავებს "FAO"-ს მითითებების შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებთან შეთანხმებით.

3. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან თავიანთი სახსრებით განახორციელონ გამოსაყენებლად უვარგისი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ჩაბარება გაუვნებელყოფისა და განთავსების მიზნით.

4. გამოსაყენებლად უვარგისი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, მათი ტარის გაუვნებელყოფასა და განთავსებაზე კონტროლს ხორციელებენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები.

მუხლი 24. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ექსპორტი-იმპორტი

1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ექსპორტი-იმპორტი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ხელშეკრულებას პესტიციდების ან აგროქიმიკატების ყიდვა-გაყიდვის და ტრანსპორტირების შესახებ თან უნდა ერთვოდეს სარეგისტრაციო მოწმობა, რომელსაც გასცემენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები.

3. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების იმპორტის ლიცენზირებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა ხორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

4. შემოსატანი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების საჭირო სორტიმენტს და რაოდენობას, ფიტოსანიტარიული სიტუაციისა და ნიადაგის ნაყოფიერების ფაქტორები მდგომარეობის გათვალისწინებით, აწესრიგებენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები. გარემოში ნარჩენების დაგროვებას და დაბინძურების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

5. აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ექსპორტ-იმპორტზე ნებათვითის გაცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოებთან შეთანხმებით.

6. აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდების ექსპორტ-იმპორტზე წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის განხორციელებისათვის პასუხისმგებელია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

მუხლი 25. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენება და უსაფრთხო მოხმარება

1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების წესს განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ფიტოსანიტარიული მონიტორინგისა და ფიტოსანიტარიული მდგომარეობის, ნიადაგების ნაყოფიერების ფაქტობრივი მდგომარეობისა და აგროქიმიკატების მიმართმცენარეთა ოპტიმალური კვების მოთხოვნების, სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის კვების რაციონის გათვალისწინებით, სანიტარიული და ეკოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად.

2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენება შესაძლებელია შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ, რომელიც მოიცავს აგრონომიული, აგროქიმიური და მცენარეთა კომპლექსური დაცვის საფუძვლების და პრინციპების, აგრეთვე ადამიანისა და გარემოსათვის უსაფრთხო გამოყენების წესების ცოდნას.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ვალდებული არიან უზრუნველყონ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენების პროპაგანდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულყოფის, მცენარეთა და ცხოველების ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და ნიადაგების ნაყოფიერების ასამაღლებლად, ფერმერებისათვის სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების შესახებ რეკომენდაციების მიცემა, მომხმარებლებში საცნობარო-სასწავლო მასალების გავრცელება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სწორი და უვნებელი გამოყენების შესახებ.

4. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების სქემა მოიცავს: მოქმედი ნივთიერებების კონცენტრაციას, ხარჯვის ნორმას, გამოყენების დროს, ჯერადობას, შეტანის ვადებს, მეთოდებს, ადგილებს, ხერხებს, დანამატებს, შემტან ტექნიკას, მოსავლის აღებამდე ლოდინის პერიოდს.

5. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს სარეგისტრაციო ორგანოების მიერ დადგენილი გამოყენების რეგლამენტებისა და წესების დაცვა, რომლებიც გამორიცხავენ ადამიანის, დასაცავი მცენარეებისა და ცხოველების ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას.

6. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურებს უფლება აქვთ ნაკლოვანებების აღმოფხვრამდე შეაჩერონ მცენარეთა დაცვის და აგროქიმიური სამუშაოები.

7. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების უსაფრთხო გამოყენების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოების მიერ მკაცრი კონტროლის დაწესება დასაცავ კულტურებში, ნიადაგში, წყალსა და გარემოს სხვა ობიექტებში, კვების პროდუქტებში, სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და ცხოველთა საკვებში მათი ნარჩენი რაოდენობის შემცველობაზე.

8. აკრძალულია ისეთი კვების პროდუქტების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის და ცხოველთა საკვების რელიზაცია, რომლებშიც პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნარჩენი რაოდენობის შემცველობა აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას.

9. კვების პროდუქტების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის და ცხოველთა საკვების რელიზაცია ხდება სპეციალური სერტიფიკატით, რომელსაც გასცემენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი ლაბორატორიები.

10. პესტიციდები და აგროქიმიკატები არ შეიძლება გამოიყენონ უშუალოდ ღია წყალსაცავების, წყალსატევების ახლოს ან ზღვის პირას სანიტარიულ-ჰიგიენური და გარემოსდაცვითი ნორმების დარღვევით.

11. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მაღალი ტექნიკური დონე, შრომის კულტურა და უსაფრთხოების წესების დაცვა.

12. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ვალდებული არიან უზრუნველყონ მიწათმოქმედთა სწავლების ორგანიზება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების, ტექნიკურ საშუალებათა ექსპლუატაციის, შენახვა-ტრანსპორტირების, გარემოს-დაცვითი, სანიტარიულ-ჰიგიენური და ტექნიკის უსაფრთხოების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

13. სოფლის მეურნეობის პროდუქციაში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნაშთის დაგროვების თავიდან აცილების მიზნით მეურნე ვალდებულია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენებამდე გაეცნოს სათანადო საინფორმაციო მასალებს და შეასრულოს ინსტრუქციები მავნე ორგანიზმებთან კომპლექსური დაცვითი ღონისძიებების გატარებისას პესტიციდების ოპტიმალურ გამოყენებაზე, ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლებისა და ცხოველთა საკვების გამდიდრების დროს, აგრეთვე მცენარეთა ბალანსირებულკვებაში აგროქიმიკატების გამოყენებაზე მოთხოვნის თანავე მიაწოდოს შესაბამის სამსახურებს ინფორმაცია გამოყენებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ.

14. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურებს უფლება აქვთ შეამოწმონ მეურნის მიერ გამოყენებული საშუალებების ვარგისიანობა და თუ ისინი არ უპასუხებენ დადგენილ სტანდარტებს, აკრძალონ მათი გამოყენება.

15. სოფლის მეურნეობაში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების, შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციის, შრომის უსაფრთხოების საერთო წესების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლების უფლება მოსილორგანოებთან შეთანხმებით შეიმუშავეს ინსტრუქციას, რომელიც აუცილებელია ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, რომელიც საქმიანობა დაკავშირებულია პესტიციდებისა და აგროქიმიკატებთან.

მუხლი 26. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენება სპეციალური ტექნიკური საშუალებებით

1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენება ხორციელდება სპეციალური ტექნიკური საშუალებებით.

2. ტექნიკური საშუალებების პირველად გამოყენებამდე დამამზადებელი, სავაჭრო წარმომადგენელი ან იმპორტიორი ვალდებულია სარეგისტრაციო ორგანოებს წარუდგინოს შეტყობინება, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) დამამზადებლის, სავაჭრო წარმომადგენლის ან იმპორტიორის სრულ სახელწოდებას;

ბ) მანქანის ტიპის სახელწოდებას, აღწერილობას, მისი გამოყენების სფეროს და ინსტრუქციას;

გ) შეფასებისათვის საჭირო დოკუმენტაციას.

3. სარეგისტრაციო ორგანოები ადგენენ იმ ტექნიკური საშუალებების სიას, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა დაცვისათვის, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პარაზიტებისაგან დასაცავად, აგროქიმიკატების შესატანად მცენარეთა კვების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით.

4. სარეგისტრაციო ორგანოებს უფლება აქვთ დამამზადებლისაგან, სავაჭრო წარმომადგენლისაგან ან იმპორტიორისაგან ექსპერტიზის მიზნით, დადგენილი წესის მიხედვით, მოითხოვონ ახალი ტიპის ტექნიკური საშუალების ნიმუში. თუ ექსპერტიზის შედეგები არაკმაყოფილებლად მოთხოვნილებს, სარეგისტრაციო ორგანოები

უფლებამოსილი არიან აკრძალონ ტექნიკის ამერთეულის საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაცია.

5. სოფლის მეურნეობაში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემტან ტექნიკურ საშუალებათა ტექნიკურ მდგომარეობაზე სახელმწიფო შემხედველობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა ხორციელდეს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

6. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს უფლება აქვთ საკონტროლო საშუალებების გამოყენებით ჩატარონ მიწათმოქმედებაში მიერ გამოყენებული ტექნიკური საშუალებების შემოწმება, მოითხოვონ აღმოჩენილ ნაკლოვანებებთან აღმოფხვრა, ხოლო მათი სრული ამორტიზაციის შემთხვევაში, აკრძალონ ექსპლუატაცია.

თავი V

პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

მუხლი 27. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 28. ამ კანონთან დაკავშირებით მის აღები ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებიდან 5 თვის ვადაში საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:

ა) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის შესახებ;

ბ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ექსპორტ-იმპორტის წესის შესახებ;

გ) სოფლისა და სატყეო მეურნეობაში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და უსაფრთხო გამოყენების ინსტრუქცია;

დ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდებისა და რეგისტრაციის დებულება.

თავი VII

დასკვნითი დებულება

მუხლი 29. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,

1998 წლის 25 ნოემბერი.

მუხლი 1. „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 1998 წელი, მუხ.45) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-3 მუხლის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) პესტიციდები - ქიმიური ან ბიოლოგიური პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა დაავადებებისა და მათი გადამტანების, მავნებლებისა და სარეველა მცენარეების, შენახული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაავადებებისა და მავნებლების, მღრღნელების, ცხოველთა პარაზიტების წინააღმდეგ, აგრეთვე მცენარეთა ზრდის რეგულირებისათვის, მოსავლის აღების წინ მცენარეთათვის ფოთლების მოსაცილებლად (დეფოლიანტები) და მცენარეების შესახმობად (დესიკანტები), საცავების, საწყობების, სატრანსპორტო საშუალებების, სათბურების, ნიადაგის, მცენარეული და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა პროდუქციის გაუსნებოვნებისათვის;“;

ბ) „ჯ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ“ ქვეპუნქტი:

„ჰ) გაუსნებოვნება - დეზინსექციის, დეზინფექციისა და დერატიზაციის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მავნებლების, მცენარეთა დაავადებებისა და მღრღნელების წინააღმდეგ.“.

2. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. პესტიციდებსა და აგროქიმიკატებთან დაკავშირებული საქმიანობის ლიცენზირება

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტიანი გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სფეროში ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა ხორციელდება ლიცენზიისა და ნებართვის საფუძველზე, რომლებსაც გასცემენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები.“.

3. მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ლიცენზიას პესტიციდების წარმოებაზე გასცემს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური, ხოლო ლიცენზიას აგროქიმიკატების წარმოებაზე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური.“.

4. მე-17 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რეესტრში მოცემული ძირითადი ინფორმაცია მოიცავს ცნობებს ქიმიური ნივთიერებების, მიკროორგანიზმების მიერ წარმოქმნილი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების თვისებების, ეფექტების, ადამიანსა და გარემოზე ზემოქმედების შესახებ, მონაცემებს დამამზადებლების, მიმწოდებლების, გამოყენებული ნივთიერებების კატეგორიების, რაოდენობის, გამოყენების მიზნებისა და სფეროს თაობაზე, უსაფრთხოების წესების, საგანგებო სიტუაციებში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ და სხვა.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დამამზადებლები, იმპორტიორები, შემნახველები, რეალიზატორები და სხვა პირები ვალდებული არიან, სარეგისტრაციო ორგანოში წარადგინონ ინფორმაცია

წარმოებული, იმპორტირებული და გამოყენებული პესტიციდების შესახებ დადგენილი ფორმითა და მოცულობით.;

გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. რეესტრში ცალკე აღირიცხება მონაცემები აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდების შესახებ.“.

5. მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) პესტიციდების ტოქსიკურობის კლასი და საშიშროების ნიშანი;“.

6. 22-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ლიცენზიას პესტიციდებით ვაჭრობაზე გაცემს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური, ხოლო ლიცენზიას აგროქიმიკატებით ვაჭრობაზე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური.“

7. 23-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 23. პესტიციდების გაუვნებელოფა და განთავსება

1. უვარგისი და აკრძალული პესტიციდებისა და მათი ჭურჭლის (ტარის) გაუვნებელოფა და განთავსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პესტიციდების დამამზადებელი უვარგისი ან აკრძალული პესტიციდებისა და მათი ჭურჭლის (ტარის) განადგურების მეთოდებსა და რეკომენდაციებს შეიმუშავებს „FAO“-ს მითითებების შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან შეთანხმებით.

3. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან, თავიანთი სახსრებით განახორციელონ გამოსაყენებლად უვარგისი პესტიციდების ჩაბარება გაუვნებელოფისა და განთავსების მიზნით.

4. გამოსაყენებლად უვარგისი პესტიციდებისა და მათი ჭურჭლის (ტარის) გაუვნებელოფასა და განთავსებაზე კონტროლს ახორციელებენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები.“.

8. 24-ე მუხლის:

ა) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ხელშეკრულებას პესტიციდების ან აგროქიმიკატების ყიდვა-გაყიდვის შესახებ უნდა ერთვოდეს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული პესტიციდის ან აგროქიმიკატის სახელმწიფო სარეგისტრაციო მოწმობა.

3. პესტიციდების ექსპორტ-იმპორტი ხორციელდება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, ხოლო აგროქიმიკატების ექსპორტ-იმპორტი - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ნებართვას აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდების ექსპორტი-
იმპორტზე გასცემს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს
მცენარეთა დაცვის სამსახური.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და
ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე

თბილისი,

2003 წლის 7 მაისი.

**„პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N6, 1998 წელი, მუხ. 45) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტიანი გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სამართლებრივი საფუძვლები

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტიანი გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“, „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „ვეტერინარიის შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ საქართველოს კანონები, FAO-ს „პესტიციდების განაწილებისა და გამოყენებისას წესების საერთაშორისო კოდექსი“, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.“

2. მე-3 მუხლის:

ა) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოები – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;“;

ბ) „მ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „წ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) „ჯ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯ) მცენარეთა დაცვის საშუალებების, ზრდის რეგულატორებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო ორგანო – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;“.

3. მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდების მიმოქცევა, რომელთაც სარეგისტრაციო გამოცდების შედეგად ადამიანთა ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მაღალი შესაძლებლობა დაუდგინდათ, ხორციელდება სპეციალური ნებართვის საფუძველზე, ინფორმაციის გავრცელების საერთაშორისო მოთხოვნათა დაცვით, წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პრინციპის შესაბამისად, რაზედაც პასუხისმგებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად.“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სოფლის მეურნეობაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის ლიკვიდაციის მიზნით, ალტერნატიული საშუალებებისა და მეთოდების უქონლობისა და აუცილებელი ღონისძიებების ჩატარების დაყოვნების საშიშროებისას მკაცრად შეზღუდული პესტიციდების შემოტანაზე ნებართვას გასცემს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.“;

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მიმოქცევასა და გამოყენებას, კალენდარული წლის ბოლოს ინფორმაციას აწვდიან ადმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს.“.

4. მესამე თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტიანი გამოყენების და უსაფრთხო მოხმარების რეგულირება“.

5. მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტიანი გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სახელმწიფო პოლიტიკას შეიმუშავენ და ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების უსაფრთხო მოხმარების პროცესებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აწესრიგებენ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.“.

6. მე-7 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტიან გამოყენებასა და უსაფრთხო მოხმარებაზე სახელმწიფო კონტროლს და ზედამხედველობას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.“;

ბ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

7. მე-8–მე-10 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოცდა, ექსპერტიზა, რეგისტრაცია და კოორდინირება

1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში – სარეგისტრაციო ორგანო).

2. სარეგისტრაციო ორგანო:

- ა) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს FAO-ს საერთაშორისო კოდექსით, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით;
- ბ) ახორციელებს პესტიციდებსა და აგროქიმიკატებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინირებას;
- გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს სპეციალურ დებულებებსა და წესებს საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის შესახებ, რომელთაც ამტკიცებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

მუხლი 9. სარეგისტრაციო ორგანოს ამოცანები და უფლებამოსილებანი

1. სარეგისტრაციო ორგანო განსაზღვრავს საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სიას და მათი გამოყენების რეგლამენტებს, კოორდინაციას უწევს სარეგისტრაციო გამოცდებს, ექსპერტიზას, ატარებს სახელმწიფო რეგისტრაციას და გასცემს სარეგისტრაციო მოწმობებს, ადგენს ამკრძალავ სიებს და პერიოდულად აწარმოებს სახელმწიფო კატალოგს, საჭიროებისას აქვეყნებს დამატებით სიებს, ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სარეგისტრაციო ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ა) განიხილავს ფიზიკური და იურიდიული პირების განაცხადს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაციის შესახებ;
- ბ) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არგუმენტირებული დასკვნის საფუძველზე სახელმწიფო კატალოგიდან იღებს იმ პესტიციდებს, რომელთაც გამოავლინეს ადამიანისა და გარემოსათვის არახელსაყრელი თვისებები;
- გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებს დებულებებს, ინსტრუქციებს, წესებს, მეთოდურ მითითებებს;
- დ) უზრუნველყოფს კვლევებში სტანდარტიზებული მეთოდების გამოყენებას;
- ე) მონაწილეობს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სწორად გამოყენების პროპაგანდის უზრუნველყოფაში.

მუხლი 10. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდები და ექსპერტიზა

1. საქართველოში ახალი პესტიციდი (მოქმედი ნივთიერება), გამონაკლისის გარდა, და აგროქიმიკატი, საჭიროების შემთხვევაში, რომლებსაც ადგენს სარეგისტრაციო ორგანო, ექვემდებარება სარეგისტრაციო გამოცდებს, რომელთა კოორდინაციას ახორციელებს სარეგისტრაციო ორგანო.

2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტიანობის გამოცდას და შეფასებას ახორციელებენ შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და ლაბორატორიები.

3. სარეგისტრაციო გამოცდები და ექსპერტიზა ტარდება რეგისტრანტის ხარჯზე.

4. სარეგისტრაციო გამოცდები მოიცავს:

ა) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების ბიოლოგიურ, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენასა და მათი გამოყენების რეგლამენტების შემუშავებას;

ბ) ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების შეფასებას, ჰიგიენური ნორმატივების, სანიტარიული ნორმებისა და წესების შემუშავებას;

გ) გამოყენების რეგლამენტების ეკოლოგიურ შეფასებას.

5. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეტანილი აქვს განაცხადი პესტიციდების ან აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაციაზე, ვალდებულია უფასოდ წარმოადგინოს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნიმუშები.

6. სარეგისტრაციო გამოცდების დროს მკვლევრები ვალდებული არიან მინიმუმამდე დაიყვანონ ცხოველებზე ექსპერიმენტები.

7. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეკოლოგიურ და ჰიგიენურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზას ახორციელებენ შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და ლაბორატორიები.

8. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო ექსპერტიზის წესს განსაზღვრავს სარეგისტრაციო ორგანო.

9. ექსპერტიზის ვადები არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

10. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოცდის და ექსპერტიზის შედეგები წარედგინება სარეგისტრაციო ორგანოს, რომელიც წყვეტს საკითხს მათი რეგისტრაციაში გატარების შესახებ და გასცემს სარეგისტრაციო მოწმობას ერთი თვის ვადაში.

11. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც შეტანილი აქვს განაცხადი პესტიციდების ან აგროქიმიკატების რეგისტრაციაზე, აგრეთვე მათ შემუშავებლებს, უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ექსპერტიზაში.

12. საექსპერტო დასკვნა შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. თუ სარეგისტრაციო გამოცდების მონაცემები ადასტურებენ პესტიციდის ან აგროქიმიკატის ადამიანისათვის ან გარემოსათვის არახელსაყრელი თვისებების გამოვლენას, სარეგისტრაციო ორგანო უფლებამოსილია არ გაატაროს ისინი რეგისტრაციაში.

14. მოპოვებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს დაცვის თვალსაზრისით პესტიციდებისა და აგროქიმიკატების აკრძალვის ან მკაცრი შეზღუდვის და საკონტროლო ღონისძიებების შესახებ სავალდებულოა გაეგზავნოს FAO-ს, რაზედაც პასუხისმგებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.“.

8. მე-11 მუხლი ამოღებულ იქნეს.

9. მე-12 მუხლის:

ა) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახელმწიფო რეგისტრაციის ვადას ადგენს სარეგისტრაციო ორგანო. პესტიციდის მოქმედი ნივთიერების რეგისტრაციის ვადა, როგორც წესი, განისაზღვრება 10 წლით, ხოლო მისგან წარმოებული პროდუქტის – 5 წლით. სარეგისტრაციო მოწმობის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება პესტიციდების განმეორებითი რეგისტრაცია.

3. ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს რეგისტრაციის შემოკლებული ვადა – 3 წელი, თუ წარმოდგენილია რეგლამენტაციის არასრული მონაცემების პაკეტი, წარმოიშვა დამატებითი გამოკვლევების ჩატარების აუცილებლობა, მოსალოდნელია პესტიციდების მიმოქცევიდან ამოღება, წარმოების შეწყვეტა.“;

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სარეგისტრაციო ორგანო ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე გასცემს სარეგისტრაციო მოწმობას რეგისტრირებული პესტიციდის ან აგროქიმიკატის შესახებ.“;

გ) მე-10–მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგს აწარმოებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

11. რეგისტრაციას არ ექვემდებარება პესტიციდი და აგროქიმიკატი, რომლებიც შემოტანილია სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ან/და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების დაყოვნების საშიშროების შემთხვევაში.

12. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ ინახება სარეგისტრაციო ორგანოში.“.

10. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. ბიოლოგიურ პესტიციდებთან დაკავშირებული საქმიანობის ლიცენზირება

ბიოლოგიური პესტიციდების წარმოებაზე ლიცენზიას გასცემს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.“.

11. მე-14 მუხლი ამოღებულ იქნეს.

12. მე-16 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თუ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოებისას დამამზადებელი ვერ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და უსაფრთხო მოხმარებაზე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა უფლებამოსილ ორგანოებს უფლება აქვთ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეაჩერონ, შეზღუდონ ან აკრძალონ პესტიციდების ან აგროქიმიკატების წარმოება.“.

13. მე-17 მუხლი ამოღებულ იქნეს.

14. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. აუცილებელი ინფორმაცია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ

1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მიმოქცევაში გაშვება დასაშვებია, თუ პროდუქციას მოჰყვება რეკომენდაციები მისი ტრანსპორტირების, შენახვის, უტილიზაციისა და გამოყენების შესახებ და პროდუქცია მარკირებულია დადგენილი საერთაშორისო წესების მიხედვით.

2. პესტიციდების რეგისტრაციის შედეგად მათი გამოყენების რეკომენდაციებსა და ეტიკეტს ითანხმებს სარეგისტრაციო ორგანო.

3. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მიმოქცევის ტარაზე მარკირება უნდა უპასუხებდეს FAO-ს საერთაშორისო ინსტრუქციებს და მოცემული უნდა იყოს ქართულ ენაზე.“.

15. მე-19–22-ე მუხლები ამოღებულ იქნეს.

16. 23-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პესტიციდების დამამზადებელი უვარგისი ან აკრძალული პესტიციდებისა და მათი ტარის განადგურების მეთოდებსა და რეკომენდაციებს შეიმუშავებს FAO-ს მითითებების შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გამოსაყენებლად უვარგისი პესტიციდებისა და მათი ტარის გაუვნებელოფასა და განთავსებაზე კონტროლს ახორციელებენ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.“.

17. 24-ე–26-ე მუხლები ამოღებულ იქნეს.

18. 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28. ამ კანონთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

2006 წლის 1 ივლისამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:

ა) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესი;

ბ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესები;

გ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულება;

დ) საქართველოში სარეგისტრაციო გამოცდებისათვის საჭირო პესტიციდების და აგროქიმიკატების ნიმუშების, ეტალონური პრეპარატების და ანალიტიკური სტანდარტების შემოტანის წესი;

ე) საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2005 წლის 28 დეკემბერი.

მუხლი 1. „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N6, 1998 წელი, მუხ. 45) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტიანი გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სამართლებრივი საფუძვლები

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტიანი გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, FAO-ს „პესტიციდების განაწილებისას და გამოყენებისას წესების საერთაშორისო კოდექსი“, „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“, „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „ვეტერინარიის შესახებ“, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „გარემოს დაცვის შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ საქართველოს კანონები, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.“.

2. მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაცია – პროცესი, რომლის საფუძველზედაც აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო პესტიციდის/აგროქიმიკატის გამოცდების შედეგებისა და სამეცნიერო მონაცემების, რეგისტრანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის კომპლექსური შეფასებისა და ანალიზის შემდეგ იძლევა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების საქართველოში წარმოების, შემოტანის, შენახვის, რეალიზაციის, გამოყენებისა და რეკლამის უფლებას;“.

3. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სოფლის მეურნეობაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის ლიკვიდაციის მიზნით, ალტერნატიული საშუალებებისა და მეთოდების უქონლობისას, საშიში მავნებლების, დაავადებებისა და ინფექციების გადამტანი ორგანიზმების წინააღმდეგ აუცილებელი ღონისძიებების ჩატარების დაყოვნების საშიშროებისას, მკაცრად შეზღუდული პესტიციდების შემოტანაზე ნებართვას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გასცემს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან შეთანხმებით.“.

4. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემოტანაზე, ტრანსპორტირებაზე, რეალიზაციაზე, მარკირებაზე, შენახვაზე, გამოყენებაზე, წარმოებაზე (დაფასობაზე), ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.“.

5. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს FAO-ს საერთაშორისო კოდექსით, ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების მცენარეთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის – EPPO-ს სტანდარტებით, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით;“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

6. მე-9 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სარეგისტრაციო ორგანო განსაზღვრავს საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სიას და მათი გამოყენების რეგლამენტებს, ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს სარეგისტრაციო გამოცდებს, შეისწავლის და აანალიზებს პესტიციდის/აგროქიმიკატის გამოცდების შედეგებსა და სამეცნიერო მონაცემებს, რეგისტრანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინფორმაციას, ატარებს სახელმწიფო რეგისტრაციას და გასცემს სარეგისტრაციო მოწმობებს, ადგენს ამკრძალავ სიებს და პერიოდულად აწარმოებს სახელმწიფო კატალოგს, საჭიროებისას აქვეყნებს დამატებით სიებს, ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.“;

ბ) მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების არგუმენტირებული დასკვნის საფუძველზე აუქმებს რეგისტრაციას და სახელმწიფო კატალოგიდან იღებს იმ პესტიციდებს, რომელთაც გამოავლინეს ადამიანისა და გარემოსათვის არახელსაყრელი თვისებები (საშიშროება);“.

7. მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოში ახალი პესტიციდი (მოქმედი ნივთიერება), გამონაკლისის გარდა, და აგროქიმიკატი, საჭიროების შემთხვევაში, რომლებსაც ადგენს სარეგისტრაციო ორგანო, რეგისტრაციამდე ექვემდებარება სარეგისტრაციო გამოცდებს, რომელთა შედეგები წარედგინება სარეგისტრაციო ორგანოს. ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა

და განვითარების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ რეგისტრირებული პესტიციდი/აგროქიმიკატი საქართველოში რეგისტრაციისათვის არ საჭიროებს სარეგისტრაციო გამოცდებს.“.

8. მე-12 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. რეგისტრაცია შეიძლება ვადამდე შეიზღუდოს ან შეწყდეს, თუ მიღებულია ახალი მონაცემები პესტიციდების ან აგროქიმიკატების საშიშროების შესახებ, რომლებიც ადრე არ იყო ცნობილი. ცნობებს შეზღუდვაზე სარეგისტრაციო ორგანო მიუთითებს ყოველწლიური სიის დამატებებში. შეტყობინებას მიღებულ საკონტროლო ღონისძიებებზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო დადგენილი წესით უგზავნის სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებს.“;

ბ) მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) ინფორმაცია მოწამვლის შემთხვევაში პირველადი საექიმო დახმარების შესახებ.“.

9. 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28. ამ კანონთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

1. 2006 წლის 1 ივლისამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:

ა) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესი;

ბ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესები;

გ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულება;

დ) საქართველოში სარეგისტრაციო გამოცდებისათვის საჭირო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნიმუშების, ეტალონური პრეპარატების და ანალიტიკური სტანდარტების შემოტანის წესი;

ე) საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგი.

2. 2007 წლის 1 ივლისამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:

ა) პესტიციდების წვრილი დაფასოების ორგანიზების წესი;

ბ) ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლისა და ნიმუშის აღების წესი;

გ) სურსათში/ცხოველთა საკვებში და გარემოს ობიექტებში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნარჩენების კონტროლისათვის ნიმუშების აღების წესი;

დ) ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში რეგისტრირებული პესტიციდების/აგროქიმიკატების საქართველოში რეგისტრაციისათვის დამატებითი მოთხოვნების შესახებ.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2006 წლის 29 დეკემბერი.